




ადრთს ჰრბი

ლიტერატურა,
ხელოვნება,
პრიტიბა.

კ ვ ი რ ა
30 ივნისი.



1085

ფასი 10 კ.

№ 5.

შ ი ნ ა ა რ ს ი

გრ. რობაქიძე: ფიორდების ასულს.
პ. იაშვილი: მეორეს.
გელა: ფრთათა რხევა.
პოემიდან „ორი რაინდი“ კ. აბაშის პირველი.
დე-ლილ-ადანი—და ნატალია.
შალვა დადიანი-- ტყვე.
ჩვენი ხელოვნება
ქრონიკა.

ბარათები.F $\frac{310}{1913}$

4. ფიორდების ასულს.

მე შორეული ვარ: არ ვიცი არც დღე და არც
ღამე ჩემი მოვლენის; ლანდათ მასხოს მხოლოდ,
რომ დაბადების ეამს ლურჯა ცას ვარსკვლავი მო-
სწყდა და სადღაც შთაინთქა მშვენიერი; ვინ იყო
იგი, არ ვიცი: შეიძლება—შენ, რომელსაც დაგე-
ძებ მარადის.

ქვეყანა ჩემით არ დაწყებულა, მაგრამ უჩემოთ
არ გათავდება; საუკუნე საუკუნესა სცვლის, იმხვერ-
ვა ძველი ქვეყანა და იბადება ახალი; მეც ვქრები
მრავალჯერ ბნელეთში, მაგრამ მზის განახლებაში
ვიშვი ხელმეორეთ; და დაგეტებ მუდამ ეამს მხო-
ლოდ შენ მშვენიერო.

აი ეხლაც, როგორც ათასი წლის წინათ, გე-
ლი შენ, როცა ღამე ჰქრება და დღეს კიდევ არ
გაუხსნია თვალი.

იშლება ალიონი ნელინელ; ცისკარი კიდევ
ახლავს მთვარეს, მაგრამ ფერმკრთალს მალე მო-
სცილდება; სქელი ლურჯი ნისლი მძიმედ გადასწო-
ლია შავსა და ნელს მდინარეს; სდუმს ყოველი,
ოდნავ ისმის მხოლოდ მისი ნელი თვლემ; ლურჯს
თვალსა ხსნის ალიონი: ეს ლოდინია მზის ამოსვლის,
ეს ლურჯი სურვილია მზით დათრობისა.

და აჰა, ვხედავ ჩემს ოცნებას ნეტარი ვაოცე-
ბით: სქელი ნისლი იშლება უცნაურად და მის
ლურჯ ქულაში ოდნავ ისახება შენი ღვთიური
სხეული.

შენ ყვაილი ხარ, ჩემი ლეგენდის ყვაილი,
მდინარის გულით რომ ამოზრდილა; მოგროძო ღე-
რო, წყალში რომაა ჩაძირული, შენს მოქნილ ტა-
ნად იზრდება; თოვლივით თეთრი გული ყვაილისა
შენს ფიქალ მკერდათ იშლება; მწვანე თასი, რო-
მელშიაც იგი მოქცეულა, გარს გეხვევა სხივნარო
ქსოვილად; და იშლება ნელინელ მატყვევებელი.

შენ ქალწული ხარ, ვით ყვაილი იგი, მაგ-
რამ შენი თეთრი ტანი ვნებით ირხვევა; როცა



F 887

სთვლემდი ერთს დროს ნიბიერი, მზე დაგმზერდა თავს მოპარებული: სხივი მისი ტრფიალით ვადმოეშვა შენს ყლორტში და წამსავე შეირბა შენი ქალწულობა; მას შემდგომ ყოველს ალიონს წყლიდან ამოცურდები და გახსნილი გულით ელი ტყვემქნელსა.

ლურჯი ნისლი ციალობს შენს თვალებში ვით გაღვიძებული სურვილი და შენი მკერდიც სუნთქავს ლოდინით.

გიმზერ შორი-ახლო და ვიწვი ცეცხლით; ჩემს სურვილს მრავალფერ ალად გახვევ ტანს და ვცდილობ ლურჯს ნისლში ამოვსება იმა ალით მარადი სახე შენი: მე ვიცი ცეცხლის ენა და მისი სიტყვით ვკითხულობ შენს თვალებში სიყვარულსა.

მაგრამ, რად ახლავს შენს თვალებს მძიმე სევდა? შენ გრძნობ, რომ მე მზის ნატეხი ვარ მხოლოდ, — და შენც ლოდინი ხარ მარტო და არა ასრულებ; ცისკარი რომ მთვარეს მოსწყდებდა, შენ, ნისლში გახვეული, უეცრად გაჰქრები.

მარადი ქალწული! ასეთი გიხილე ათასი წლის წინად; ახლაც ასეთი შემხვდი უცნაურო და ლამაზო. საცაა, ალიონი ლურჯს ფრთებს დაიბერტყს და შენც მას გაჰყვები საუკუნოთ; მე მხოლოდ ნაღვლს გაგაყოლებ თან და ვიწყებ ძებნას შენსას მშვენიერო და ვიცოცხლებ შენი შეხვედრისათვის მხოლოდ.

მე ვიწვი ცეცხლით და ფერფლის არ მეშინია; მზის განახლებაში მეც ვიწვი ხელახლა იმავ სურვილით; გადავლახავ საუკუნოებს და გიხილავ კიდევ. მაგრამ, როდის ვიხილავ შენთან ერთად მზის ამოსვლას, ჩემო ყვავილო? როდის გამოვკვეთ შენს ნისლოვან ტანს მზის ტალღებში, ჩემო მშვენიერო?

ქიკოცი რომაძე

ხუთშაბათი, ღამე.

პ. იაშვილიმეორეს.

ჩვენ სუყველას დავსცილდებით
ველის ვარდებს მივაშურებთ,
ჩვენ ამ ნაღმს რას დავეძებთ
სხვების ლხენას რას ვუყურებთ?

ჩვენთვის ლხენა გაუმართავს
ყვაფილებით ნაქარგ მდელოს,
მაშ წავიდეთ! ნულარ უცდი,
ნულარ უცდი სადღეგრძელოს.

ვარდი ამბობს: ჩემთან მოვლენ—
ისამანს გული სტკივა
შროშანა პირს ილამაზებს,
ბალახს ლხენით ცრემლისცვივა,
ყველას ვნახაუ! დავასწავლით
თუ რა არის ტრფობის წესი,
მე მსურს ყველამ გაიგონოს
შეყვარებულ მგოსნის ლექსი.

მზე მოკვდება ერთის წუთით,
ერთის წუთით დაიძინებს—
ნაკვლად ვარსკვლავს გამოგზავნის:
ის ცის ფსკერზე გაიკინებს,
ამ დროს კოცნით დაწეს დავიწვავ,
გადააქცევ მზიან ვნებათ;
უბმოთ წავალთ წყლის ნაპირას:
მყუდრო ბინის მისაგნებათ.

და რაც რომ ჩემს სიკაბუკეს
შერჩენია კიდე ვნება
შენს თეთრ სხეულს ჩემო სატრფო
ცეცხლის ალათ მოედება...

ჩვენ სუყველას დავსცილდებით
ველის ვარდებს მივაშურებთ
ჩვენ ამ ნაღმს რას დავეძებთ,
ჩვენ ამ ლხენას რას ვუყურებთ?

ვირა. შუადღე.

ლიტერატურის
საბჭო

ფრთხილად რხევა

გ ა ლ ა.

სიყვარული კვლავ იცინის, კვლავ ეღვრება მახე გულის,
შენების და ტრფობის ღმერთმა დღით გადასცა ტახტი ზაუხულს;—
ცელქი სახე კვლავ ნარნარებს სხივთ დიდი ზაიგულის,
შეების ღიმი დაქაქათებს ატოკებულ დღის ნაკადულს:

ნათელ სხივით მოსილ წალკოტს
დასთამაშებს ჰანგი მგონის,
სიხარული ფრთებს ისწორებს,
სიყვარული ყვავილს კოცნის!..

მნათობთ მეფის ოქროს თვალი ველს დაეცა ნამით მორწყულს
მარგალიტის თეთრ მარცვლებით სანეტაროდ ფრთებ მოქარგულს,
მე თეთრ გუმბათს ვეზმორეკამდი ტაძრის აღმართულის,
ძღვეის ხმები გულს ჩაიკარ დატყვევებულ სიყვარულის,
მინდა გულის მეგობარი მოვიწოდო ნეტარ ხმებზე,
სისხლის ცრემლი გადავბანო, დანადენი მის ლოყებზე!..

ნათელ სხივით მოსილ წალკოტს
დასთამაშებს ჰანგი მგონის,
სიხარული ფრთებს ისწორებს,
სიყვარული ყვავილს კოცნის!

ნაწყვეტი პოემიდან „ორი რაინდი“ (ლეგენდა).

კარი ზირველი.

- პირველი ხმა.** ჰეი ვინ ხარ სიბნელეში
 იქ ბილიცხე რო დამდგარხარ?
 ცხენიან კაცს ვხე მითიო
 ნუ თუ ამას ვერ მიმზნდარხარ?
- მეორე ხმა.** ჩუ, სიმღერას ყურს უგდებდი,
 ადგილით ვერ დავიძარი.
 მე გახლავარ მონადირე
 დაქრილ შველის მაძებარი.
 ჰე უცნობო შენიც მითხარი
 ან სახელი და ან გვარი.
- პირველი ხმა.** მე სახელათ მზე ჰაბუკა
 შინ და გარეთ მუცხიან.
 ნადირობა ვის სმენია,
 სიბნელეში ასე გვიან?
- მონადირე.** მეფის შვილო! ეს შენა ხარ
 ვისც მსახურობს ეს ქვეყანა?
 უამალოთ მწირ ადგილას
 ტყეში აქ ვინ მოგიყვანა.
 მაპატე რომ ბნელაში
 აგრე რო ვერ ვავარჩიე...
- მზე ჰაბუკი.** მე აქეთეკნ მარტოთ მარტო
 დაქრილ შველსა გამოვსდიე.
 შენ ეს მითხარ რა ფერია,
 შენ რო შეელი დაგიქრია,
 ნიშანი რამ ან გულ-მკერდზე,
 ან თეძოზე თუ ატყვია?
- მონადირე.** შეელი იგი მეფის შვილო
 მე შემოაზხედა აქ ეწერზე
 თეთრ კიოპსა თვალი მოეკარ
 ასე ვგონებ ქონდა მკერდზე—
 მაგრამ იგი მე სრულიათ
 შემეფეთა აქ შემთხვევით.
 კარავისკენ მივდიოდი
 ზღვის პირს რო დვას
 ტყისა ქვევით.
 მივდიოდი და საჯოხეს ჯიბის დანით
 რასმეს ვთლიდი.
 მშვილდ ისარი ხელთ არ მქონდა
 და მშველს ვგრე ვით დავქრიდი?
 ძლივს მორობდა, შემდეგ ვნახე
 მოლზე სისხლი დაეწვეთა
 ალბათ შენი დაქრილია
 მე რო შეელი შემეფეთა.
- მზე ჰაბუკი.** მაშ ის არი?...
 სუ, რა ხმაა ზღვის პირიდან რო მოისმის?..
- სიმღერა.** ცაზე ვარსკვლავს რა ახარებს
 ფირუზ თალზე რო კიმკიმებს,
 ღრუბლის ქულას ვინ აბარებს?
 ეოლოსის კითხე სიმებს.
 როს ღრუბელი მოყიადე

(აფხველი)

"იუ"

სიხარულის ცრემლს აწვიმებს,
ძირს წარგზი თავს ხრის მაშინ
ვერცხლის ცვარიც მას ამძიმებს,
ბროლის ცრემლით ევედრება
ის ეოლის შეენესარ სიმებს.
ვარსკვლავია ცის მშვენება
ყვავილი კი, ნორჩ მდელოსი
ყვავილით შორის შეამავალი
შეკრიკია ეოლოსი.

„ვარსკვლავი ცის მშვენება“
ეს მყინვარე ვინ დასწერა!
ყვავილები მოლს ამკობდენ
და მიწას კი ქალეთერა.

მიწის შვილია, თუ ისმინონ,
გულს დაუკოდი ეს სიმღერა.
სუ, ვინ მღერის ეამს მწუხრისას
ეს ვინ უფლის ფერხულს ველოდ?
აღმათ ვინმე მეფის ქალი
ბანაობდა უეჭველით.

ქალწულ ქალთა ეს ამაღა
თანაც ახლდა მას მომღვებლად
შეხე წინათ რა შო-ს იყვენ
გაარჩევდა კაცი ძნელად;
ახლა კი, ესკერეტ თეთრ სამოსზე
გიშრის დალაღთ დაყრილით ველოდ.

ეს სიმღერაც გულში მწვდება
ხან საამოთ, ხან დამწველით.
მეც მაგ ხმებმა მეფის შვილი
მომხიბლა და გამიტაცა
სულ აქ ვდგავარ მე მას შემდეგ
მწუხრის ბინდმა მორთო რა ცა.

შენ ბილიკით ჩამოდიქი
ამ ფერდობით ჩავალ ველად
ენახვე იმათ, ვინც ზღვის პირზე
იქ მღერიან სანუკველად.

მეფის შვილი მაგას ნუ იქმთ,
თავი ნუ გაქეთ გასაწირად!
ჩვენი ერი შენ გსასოობს
თავი შენი უღირს ძვირად.
ბანოვანთა იგი გუნდი
მოცეცავე ზღვის ნაპირად —
თქვენ რო ეილაც მეფის ქალის
ამალობმა მიაწერეთ.

ნამღვილით კი ზღვის ფერიებს
ეხედავთ ჩვენ წინ დამიჯერეთ!
მსურს წავიდე, უნდა ენახო...

მეშინია არ შეგემთხვეთ
ხიფათი რამ სავალაზო.

ხმალ კაპარქი წელს არა მაქვს
ან სამისო რა იქნება
მსურს წავიდე — დე ასრულდეს
განგებისა იგი ნება!

მეფის შვილი თან გიახლო
თუ მარტო გსურს ვით ამობდი.



მზე კაბუკი. ნება შენი ძალს არ გატან
გინდ ღმირი და გინდ წამოდი.
მონადირე. გეხალეები.

ფერაუბის ფერსულს რა შეკახლავდებთან—აგი ორ წყებათ იყოფა.

ერთი ფერია აწეებს, სხვა აყეება.

ჰე კაბუკო დაჰრილ ნადირს
სანამ გინდა სდიო,
იო, იო—
მზეც შინ შემოდიო.
განთიადზე ტყით მომავალს
გზაზე შემოგვნიდიო.
იო, იო,
მზეც შინ შემოდიო.
ჩემი ხელით ვგ კულულუი
უნდა შეგირხიო--
ზამბახების თაიგული
მკერდზე დაგაბნაო...
იო, იო,
მზეც შინ შემოდიო.

ახლა შეთანე წეება აწეებს.

ქალ ეთერა
შენ წახვედი
მე მით დავობლდიო.
დაისერა
ჩვენი ბედი
მოსთქვამს მინდვრის სიო...
იო, იო,
მზეც შინ შემოდიო.
მზეც ზღვის წიაღს ჩაძირულა
ისევ ამოდიო.
მზეც ქვეყნისთვის ბნელს ჩანთქმულა
ისევ ამოდიო.
მე ამ ქვეყნის სტუმარი ვარ
მუდამ ამობდიო
იო, იო,
მზეც შინ შემოდიო.

მონადირე. მეფის შეილო შიგ ნუ შევლით,
ეს ბინაა ვგონებ მათი.
ხელავ მქედელს, მოხუც ქინკას,
მეფის შეილო რამ ხიფათი
ამ აგ სულმა არ მოგვწიოს...

მზე კაბუკი რას გაბედავს, ბებრუკუნას
გავამგზავრებ საიქიოს!..

მქედელი. ბერი ქინკა კერასთან ზის
სტუმრებს ერჩის იგი არას.
მაქო დარბის და მზიალი
ვესმით გააქვს თითის ტარას.
ბერი ქინკა ხმას არ იღებს
ატრიალებს თავის ჯარს.

- ერთი ფერია. —საფეიქრო რათ დასტოვე
 დათაგება უნდა საქსოვს.
 მღუმარე ზის, ყურს არ ესმის
 არას ფიქრობს, არა ახსოვს.
- მეორე ფერია. უმაღლ ტალღა გაქვავდება
 ქვიშის თოკით ქარს შეკოვავ ,
 უმაღლ მთვარე დაშავდება
 ცით ვარსკვლავებს ჩამობოქავ,
 უმაღლ კლდის კუზს ჩამორეცხავს
 და ჩამოქნის ზღვისა ქველი,
 ვიდრე ხეპრე ბებრუკუნას,
 შოარჯულებ, ტყვას ასწავლი.
- მეოთხე კაბუჯი. აქ რათ უნდათ კედლის სარკე,
 ან კუთხეში ძვლების ყორე?
- მონადირე. სამქედლოა, საფეიქრო?...
 ღმერთო ზიფათს ავგაშორე.
- ფერია. ეს ჭინკების სამყოფია,
 არც ერთია, არც მეორე.
- მკედელი. აქ ისმენენ გაუგონელს,
 აქწონიან აუწონელს...
 აქ ხერტევენ თვლით კედელს.
 ბერი ჭინკა, ჯარას უზის
 შე კი ვეჭვად გაუქედელს..
 ბერი ჭინკა ჯარას უზის
 ნაღვლიანათ თანაც მღერის:
 როს ზღვას სძინავს, ნაპირი სთვლემს
 ხმა შესწყდება ვერცხლის ჩქერის..
 ოდეს მთვარის ანარეკლი
 ვით დალაღნი ქალ ვთერის
 ზღვას ეხვევა გარს ლეჩაქათ,
 მაშინ კუნძულს, შუქზე მთვარის,
 შორით რა სჩანს მცირე ლაქათ.
 უცხო ლანდი რამ ეწვევა
 და საღ კლდიდან გაღმომღვარის
 ხმა გარემოს მოერხევა:
 წყეულ იყავ ვინც ღუმლილი
 ჩემს გარშემო დაამყარე.
 მუნჯ სიჩუმით ჯადო ქმნილი
 დააძინე ირგვლივ არე.
 წყეულ იყავ. რადგან ამით
 ჩემში სევდა გააღვიე.
 წყეულ იყავ. ჯავრ ეარამით
 ვინც დატვირთე ადამის ძე.
 წყეულ იყავ ვის ჩემ სულში
 ეკვის გველი ჩამისახავს,
 დე, მსოფლიოს ბნელ უფსკურლში,
 მიწა ნათელს ნულარ ნახავს.
 ცხოვრების ხეს წყევლამ ჩემმა
 ყოფნის კვირტი შეაყინოს.
 არსებობის მავის ცემა,
 ვით ზღვის ტალღა მიამინოს
 შექმნილი და შემომქმედი
 ამიერით წყეულ იყოს
 დე მურტალი კაცის ბედი
 ყრუ ნაპირზე გაირიყოს.

არსით ხმა. ფერმიმართალი
 ქმუნაეს მთვარე — ზღვის ცვლოვ სძინავს...
 და იმ ხმზე წამომართალი
 მეთილია შორს მიფრინავს.
 აწრლილი კი, ზის მღუმბარდ
 სალ ნაპირზე ფეხმორთხმული,
 და კუნძულიც სთვლემს მარტოკა
 ტალღათ ლაშქრით შემორტყმული.



კ. აბაშისპირელი.

და ნატალია.

ვ. დე-ლილ-ადანი.

ანდალუზიაში, მთის შარა-გზის ნაპირათ იყო
 ფრანკისკანების მონასტერი. სხვა მონასტერ-
 თა შორის, რომელიც მის გარშემო იყო აშე-
 ნებული, ეს მონასტერი ყველაზე უფრო პატივ-
 ცემული იყო: მის წმინდანათ ითვლებოდა უზარმა-
 ზარი ჯვარი, საიდანაც დღემო ორჯერ ირეცებოდა
 ზარი. მონასტრის ახლოს, დიდ გზაზე, იდგა პატარ-
 ა საჯვარე, რომლის კარები არაოდეს არ იხურე-
 ბოდა. გარშემო იშლებოდა აყვავებული მიდამო;
 მწვანეთ ბრწყინავდა ბალახი, დამათობოდელ სუნს
 აკმევდა ხეები; თეთრათ მოჩანდა მტვერიანი გზა;
 ყველგან სიჩუმე და სიყაროველ იყო.

ერთხელ, შემოდგომის საღამოს საჯვარეში
 მუხლბეზე იდგა, მონაზონის ტანსაცმელში, ახალ-
 გახდა ქალი, ნაზ და დამათობოდელ სილამაზით. ის
 იდგა ცვეტში გამოკვეთილ მაცხოვრის წინ; ქერზე
 დაკიდებული სანათი ანათებდა მადონას, ყოველი
 სიკეთის მომინჯებელს, რომელსაც მიეზნიდა თვალე-
 ბი და ადებურო ხელები.

გზიდან, ფეროვან მინით ჩაჯენილ ფანჯარაში
 მოისმონდა სერენადის ტკბილი პანგი, კორღუანელ
 მანდალინის აკომპანიმენტით. ტკბილი სიტყვები,
 ვნებითა და ქაბუკურ ვატაცებით აღსავსე—აღწევდა
 მუხლ მოდრეკილ მონაზონ და ნატალიას სმენამ-
 დი. და თავდახრილი მადონას დაქდობილ ხელე-
 ზე, სასოწარკვეთილი ჩურჩულებდა:

— მკერობლო, შენ ხედავ, მე ვტირი და
 შეგებთხოვ ნუ მომაკლებ შენს მოწყალებას; მოქან-
 ცული სული და ხორკით; მივდივარ აქედან და
 თან მიმაქვს ჩემს სულში შენი წმიდა სახე. წმიდაო
 ქალწულო, შეიბრალე ის, რომელიც მიწვიერ სიყვა-

რულისათვის სტოვეებს წმიდათა სამთავროს. გესმი
 შენ ეს ხმა: ის მაფიციებს მე უსაზღვრო ერთგულო
 ბას! თუ არ გავეხმარებ მას—მაშინ მოკვდება, დ
 განა უნდა უარყოვო მე სიყვარული ჩემი და მრავ-
 ლი წლის განმავლობაში უიშვდიოთ მყოფი?!

განა არ უნდა ვანუგეშო ის, ვინც მიყვარ
 ასე ძლიერათ! მაბატეე წმიდაო ქალწულო: ხო
 იკი რომ შენ მიყვარხარ და რომ ყოველ საღამო
 მოვდივარ აქ, რო გვედრო შენ. ეხლა კი მელევა ძალი
 სუნთქვა მიკვდება... ეს ხმა... ის მეცხის... მშვი
 დობით, მშვიდობით!

და ნატალია აღდა, წაბორძიდა, ვერ გავებე
 თვალების აწევა. მიდვა კლიტე და ზეწარი მადონა
 ფეხითი, რომლის ნათელ სახეს და ნატალიასავი
 მიეზნიდა თვალები და რომელსაც სახეზე სხივი და
 თამაშებდა.

სვეტებს დანდობილი ის მივიდა კარებთან დ
 წუთიერ ყოყმანის შემდეგ გაალო; ჩავიდა კიბით დ
 გავიდა გზაზე, რომელსაც ანათებდა სასვე მთვარე
 — ეულა! — დაიძახა მან.

მის ძახილზე გაჩნდა მხედარი, ახალგაზდა რა
 ინდი არწივისებურ სახით და სიხარულით საცსე
 ჩამოხტა ცხენიდან და გავიდა თავის მოსასხაში ის
 რომელიც როგორც იქნა მოვიდა.

— ნატალია! — ძლიეს წარმოსთქვა მხედარმა.
 შეიჯინა თუ არა ცხენზე, მაგრათ მიიკრ
 მკერდზე და გავქანა კოშკისკენ, რომლის თავი ბუნ
 დოვანათ მოსჩანდა მკრთალ მთვარიან ღამეში.

* * *
 ნახევარი წელი გავიდა ნეტარებაში, სიყვარულ
 ში, ფლორენციის, რომის და ვენეციის დათვლიე
 რებაში.

ვაკი სიხარულით ავსებულყო, ქალი კი ხში
 რათ ფიქრებს ელდოდა: გიფური და ვნებით საეს
 იყო მისი მათაყვანებელის აღერსი, მაგრამ ამას კ
 არ ელოდა ქალი თავის უკოდველ არსებაში.

288
 7

და უეცრათ, როცა კადიქს დაბრუნდენ, ერთ მშენიერ ნათელ, მზიან დილას, ქალს გამოვლიდა მარტოთ, უბეჭდოთ, მშობლურ სიხარულის გამოუცდელათ; მისი საყვარელი, რომელსაც მოსკარბებოდა მისთან ცხოვრება, უეცლოთ გამქრალიყო.

სასოწარკვეთილმა ხელიდან გაავლო საბედისწერო წერილი, რომელიც ამცნობდა მარტოობას: მაგრამ ბედს არ ემდებოდა და გადაწყვიტა აღარ ეცოცხლა.

რაც კი რამ ებადა ღარიბებს დაურიგა, სიცოცხლის განშორების წუთს უეცრათ ეწვია სურვილი—ტკბილი სურვილი—ერთხელ კიდევ ენახა, მხოლოდ ერთხელ ენახა მადონა და ეთქვა უკანასკნელი „მშვიდობით“.

შენანიებულ კოდვილის ტანისამოსში, გზაზე პურის თხოვით, წაბარბაცდა ის მონასტრისკენ — საჯვარესკენ—და ვერ გაებნა ფეხი შეედგა უცოდველ ქალწულთა საცხოვრებელში. მიდიოდა რამდენიმე დღე და ბოლოს ზაფხულის ერთ მომხიბლავ საღამოს, როცა ცა აკიაფებდა მილიონ ვარსკვლავს და ფირუზის ფერი სიმკრთაღე მიწაზე ეშვებოდა, ის ათრთოლებული, ძალა მილეული, მიუახლოვდა ღვთაებრივ ქალწულს.

მას ახსოვდა, რომ ამ ღრის მისი ძველი მეგობრები ბრუნდებოდნენ თავთავის საკანში ლოცვის სათვის და რომ ეკლესიის ვალაფანში არაინ იქნებოდა, როგორც მის გაბარვის დღეს. ამიტომ მან შეაღო კარები და შეიხედა: არაინ! მხოლოდ იქ, მშუტავს სანათის ქვეშ იდგა მადონა.

შევიდა და მუხლებზე მიჩოჩდა ციურ ხატებასთან და ყველა შემბრალებელის სახის წინ ტირილით წაიბუტბუტა:

— ღვთისმშობელო! არა ვარ ღირსი შენი შებრალებისა. მე არ ვიცილი მაშინ, როცა მათურის ხმა მეძახდა, რამდენი ტანჯვა და სირცხვილი მაგრამ ვაი!—მიწიერი სიყვარული იზიდავს თავისკენ.

სირცხვილო, სირცხვილო! მოკვდები მშობლიურ სახლიდან და აქედან განდევნილი. ყველა შენი ქალწულნი, წმიდაო დედა, შემფოთლებიან შიშისაგან არა დამინახავენ და გამავდებენ ამ საჯვარედან. მიწიერ სიტკობების ძენაში, დევარგე გადარჩენის რწმენა!

* *

ქალის ჩუმი ცრემლები ეცემოდა ღვთისმშობლის ფეხთით და მადონას მიშტერებული თვალები, თხოვდა შენდობას, როცა უეცრათ მთელი მისი

არსება შეერთა სიხარულისგან: წმიდა თვალებში შეეძვრა ხედეს მას, ქანდაკების ტურები გაინძრა და ცრემლები დედოფალმა ტკბილათ სთქვა:

— ჩემო შვილო, ვინა შენ დაგაიწყდა? როცა ჩვენ ვსარდებოდით ერთმანეთს, დამიტოვე ზეწარი და ვასაღები შენი საკანის. აქვესახურებდი მე შენს მაგიერ; ამ ზეწარში გადაცხული მე ვასრულებდი შენს საქმებს. ვერც ერთმა შენმა ამხანაგმა ვერ შეამჩნია შენი წასვლა: დაიბრუნე ისევ უკან, რაც დამიტოვე, დაბრუნდი შენს საკანში და... აღარ წახვიდე აწი...

სკ — ლი.

ტყვე.

შ. დადიანი.

(გაგაძელება).

12 ივლისს დიდი ფაცა ფუცი იყო ესტატე მღვდლისას.

ნიკოს დაბადების დღე იყო და წვეულობა ჰქონდა ელისაბედს.

ბევრი იყვნენ წვეულნი. ჩვენ ნაცნობებს გარდა აქ იყვნენ ახლო-მახლო სოფლიდან მოსული სტუმრები.

სამაზრო დაბიდანაც ჩამოსულიყო მაზრის უფროსი ფონ-ტაუბე და ახალგაზდა გამომძიებელი გრომზინცი. აქ იყო აგრეთვე დიდი მებატონე, ძველი, დარბაისელი, ყურთმაჯებიანი კოტე არათურელი და მისი მისწული გიგი სიმონიკაც.

ეტატე მღვდლის მომკრო, ცოტა შეფერდებულ იყო, თიქქის მთლად მოფარული იყო ამ სტუმრებით და მათი სხვადასხვა სახის, სხვადასხვა ფერის ტანისამოსი და მორთულობა, როგორც იტყვიან, მართლაც უცხო თავივლათ შეკონილიყო.

ზაფხულის ცხრა-თვალა მზე კი მერთ მწვევე სამოსით მოსავდა იქ ყოფილ, მაგრამ ქართველური გულ-ლიბა მასპინძლებისა რ სტუმართა უდარდელი მზიარულობა თუ სულ არა, მინც საგრძნობლათ ფანტავდა სიციხის უსიამოვნებას.

ზოგჯერ, ათასში ერთხელ, მთიდან წამოდენილი გრილი ნიავიც გადაურბენდა არე-მარეს და ამითი კიდევ უფრო აცოცხლებდა ამხნეებდა და მეტს ძალას აძლევდა საქვივოთ თავ-მოყრილებს მართლაც და უსიამოვნობათ მოსაღვნათ.

უშველებელი სუფრა იშვებოდა კაკლის ძირას.

ეტყობოდა, რომ დღეს საფუძელიანი, დინჯი და ხანგრძლივი ნაღობი გაჩაღდებოდა.

მანამდე კი ახალგაზღობა ჩვეულებისამებრ ერთ-ამულეობდა დარბაისიანი საყველპურო საგნებზე მასლიათობდენ, ორი ჩოხოსანი ერთი მეორეს ნარდში შეებოდენ და აივნის ერთ კუროში მახრის უფროსი ფონ-ტაუბე, მასპინძელი ელისაბედი, გამოძიებელი გრომნიცი და დიდი მებატონე, ყურთ-მაჯებიანი კოტე არაფურელი პროფერანსით იქცევდენ თავს. მხოლოდ ერთ ალაგას შემდგარიყო პატარა ჯგუფი და ჯუბუ და ჩოფურა ტიტციოს ცხარეთ ეკამათებოდენ. სანდროც კი ჩარვოდათ ლაპარაკში. მას თითქო დაედლია თავი სიზარამ ცისათვის.

კამათი სიყვარულზე იყო.

ჯგუფი ცდილობდა ჯერ კიდევ აუხსნელი პრობლემა სიყვარულისა როგორმე კოტა გაეშუქებინა, მაგრამ რა თქმა უნდა, მათი მახის ზერელე იყო.

კამათი მიდიოდა, ჩვეულებისამებრ, ესე ვთქვათ, მთაგორიანათ, ოღრო ჩოღროთ. ხან მაღალი, ხე-აწეული კილო, ხან გავაკებულზე თოხარიკი უკვე მზა-მზარეულ ფრაზებისა.

უმეტესობა კი მაინც გმობდა დღევანდელ შეყვარებებს. ამობოდენ, რომ სიყვარული დაიკარგა. ანუ უკეთ რომ ესთქვათ დაიკარგა თავისი სიწმინდე და სიფაქიზერომ დღევანდელი ტრფობა მხოლოდ სექსებრივი პლტყინებაა და სხვა არაფერი.

მხოლოდ იქვე მდგომი ზურაბი იყო ჩუმათ. ის ამ დილიდანვე არ იყო გუნებაზე. იმან ერთხელაც ვერ მოასწრო თიკოსთან თუნდა ერთი წუთით განმარტობით ყოფნა. თიკოს დღეს თითქო მისთვის არ ეცალა. ის ყველგან იყო და არსად კი. ხან ქალღლის მოათამაშებთან ჩნდებოდა თიკოს წერწეტა ტანი, საღღისით სულ თეთრებში მორთული და ამითი კიდევ უფრო მიმზიდველი, კიდევ უფრო ჰაეროვანი. ხან მონარდებთან, ხან კაკლის ძირას, სუფრასთან, ხან კიდევ ახალგაზღობის წრეში და ხანაც უფრო ძვირათ, ზურაბის ჯგუფთან.

— მაინც დღეს რალაც სულ სხვა ნაირია თიკო. თვალები უელვარებენ, ლოყები კოტა წამოწითლენ. მია და ტუჩები? ოჰ, ეს ტუჩები... რათ ღვივიან ეგრე წითლან? რათ იპობიან ეგრე გამოკანურათ? რას უღიმიან? რომელ უცნაურ ბედნიერებას? მაგრამ მშვიდდება ზურაბი.

— ან რა აქვს ასაშუთებული? რა ბავშია კიდევ! რა თქმა უნდა, რომ დღეს თიკო ბედნიერია. ახალგაზღობა, ჯანსაღი, უმწიკვლო. დღეს მისი

დაბადების დღეა. ამდენ სტუმრებს მოუყარიათ მის საზეიმოთ. ახალგაზღობა კი არა... მისი ბუნებრივ ბედნიერი დღე, პატვის-ცემა, თავისი სიყვარული. სიყვარული!..

გულს ესალმუნა ზურაბს.

— თიკომ იცის, რომ ზურაბს უყვარს იგი. იცის... ეს დიდი ხანია ზურაბის თვალებმა მის სურვილს შეგამოსთქვა, მისმა ათროლეულებმა ხელებმა აგებინა, მისმა უმნიშვნელო, სადა, მარტომა სიტყვადაც სხვადასხვა დროს. — მუდამ უბრალო მისი საუბარი თიკოსთან, თითქო უმნიშვნელო, მანა მნიშვნელოვანი კი. — იგრძნო, თიკომაც ამ უბრალო სიტყვების ღრმა საფუძველი და... არაფერი უწყვეტით არა თქმულა მათ შორის, მაგრამ, უწყვეტად რომ თიკო ზურაბის იქნება. ახლოს არის ეს დამოლოდ თამამი ხელის გაწოდება უნდა და ბევრება ზურაბის ხელთაა. მაშრა აწუხებს, რა ათებს დღეს რომ ვერ გავიარო თიკოს? რა ვუყო თიკო ხომ მაინც დამანე მასპინძელია, მაშ ხომ ზურაბთან ვერ იქნება! — ხომ ყველგან უნდა იყველასთან უნდა გამოიჩინოს თავაზიანობა და ხელისალობა! განა ზურაბს ის არ ეყოფა, რომ ერთი თით მოქროლდება მათ ჯგუფთან თიკო და შენათებს მის ლამაზ თვალებს. მერე რა გამოხედა მისი გამოხედვა! მაშ სხვა რაღას ითხოვს მაინც.

ზურაბი მშვიდდება, მაგრამ უფროათ გაახსენება თიკოს დღევანდელი გამოკანური, მეწამული ჩები და ეს კვლავ მოუზღვევებს ფიქრთა ჯარს. თაქვე იქერს თავის თავს: „არა, საშინელი ეჭვივართ შეყვარებულები, უბრალო რამ, ხელთ მოდებელი გვალღვევებს!“

— ზურაბ, ზურაბ! თქვენ როგორ გავვიწყობ - ავერ მიმართა ერთმა შუახნის, მაგრამ მოხდენა ქერივმა ქალმა. — თქვენი თიკოსთან მქვერ-მეტე აქ იყოს და ესე ჩუმათ?

ზურაბი ზრდილობიანათ მისკენ მიბრუნდა

— რათა? განა არ შეიძლება ზოგჯერ მხოლოდ მსმენელიც ვიყო...

— მაგას სასამართლოებშიაც მოსწყინდა, ბატონო რატორობა! — იხუმრა ვილაკამ.

ზოგიერთმა გაიცინა

— ზურაბს სიყვარული აწუხებს! — გასიქორი ჰაერში, მაგრამ ერთმა ჰალარა შერე ჩოხოსანმა თავის ბოხის ხმით დღვარა იგი:



—რის სიყვარული!- ბატონებო, წინეთ ხომ ყვარულით არ ირთავდნენ ერთმანეთს ქალვანი! უფრო ვარიგებით. კარგათ იცით, რომ წარწებულ წოდებაში დედ-მამა თავიანთ ბავშვების ვანს ერთი მეორეს მიუღდამდა და ამით თავლედა ყოველივე... ესე შეუღლებულნი ხშირად ბედური იყვენ. ან ჩვენი გოგნობა აიღეთ. დღესაც რიგებით ირთვენ ცოლს, მაგრამ განა რამდენია თში უბედური.?

სწორეთ ამ დროთ ეზოს ფერდობიდან საშინე-
რი კვილი მოისმა და თან ახალგაზღობის ხმა მა-
ალი სიკლა-კიენია.

ისინი რუსულ „კატა-თავგობია“-ს თამაშობდნენ. აგობა თიკოს რგებოდა, კატობა თავად სიმონი-
არათურდეს.

სიმონიკას თიკოსათვის წელში მგართ ხელი
ქვიდა და თვალბე-ანთებული ცოტათი გადახეკილს,
მებ-აწეწილს და მართლაც შიშისაგან ათრთლებულ
იკოს ტანს ჩასწურკმოდა.

კვილზე უველომ თავი მათკენ მიიბრუნა. ზოგს
კვირვება წაეწერა სახეზე, ზოგს სიცილი მოერია
ა ზოგსაც, მამაკაცებში, სამსუნავო ელფერი დაე-
ვა. ზოგიერთი ქალები კი ტუწ-ამრეხით შეხედნენ
სცენას.

ზურაბმაც მიიხედა მათკენ.

აფართხლებული კვიოდა თიკო და ახალგაზღო-
კი სიკილს აყრიდა, ბოლოს, როგორც იყო,
მოუსხლტა მარდ კატის კლანჭებს და როგორც
თავი გაინთავისუფლა, ეხლა თვითონ შორთო
იარული სიცილი.

ზურაბს არ მოეწონა ეს ამბავი.

—რა მოუვიდა დღეს თიკოს? სრულიად აღა-
ა გავს თავის თავს! თიკო ღინჯი, თიკო ამაყი
დ ვაღიკარგა? ან მისი დედაფლოური მიხვრა-მოხ-
ია, მისი შუვეული ბრგვე ტანადობა რათ არის
უგს ასე მოქნილი, ასე ჩვეულებრივი, ასე მდაბიო
ლური.?

გულს უტბინა რალაკამ.

—ბედნიერი ვიქნები კი მავასთან.?. ნუ თუ
ქალშაიც არის ისეთი მხარეები, რომელსაც მე
რ ვიცნობ?..

სულ გამომტერდა ზურაბი და უძრავ ქანდაკე-
საგით გაშეშდა.

ესტატე მღვდლის ცოლი კიბიდან ჩამოდიოდა.
უგს უფრო მოხდენილი სჩანდა რალაკ გაფარფაშე-
ულ კაბაში, მხოლოდ მისი მწვეტიანი ცხვირი მაინც
რ დაემალა.

თიკოს კვილზე ის სიჩქარით მიიჭრა თიკოს
თან და ბოროტათ ავზნებულ თვალებით ახედ-დახე-
და.

—რა იყო, ქალო, რა გაკვილეს?!- აქაურობა
აიკელი.

თიკომ მიატოვა სიცილი, ერთი კი ზიზლით
შეხედა და თავისებურის ღინჯის და მსუბუქის ნაბი-
ჯით, სრულიად დამშვიდებულის სახით აივნისკენ
გასწია.

ესტატე-მღვდლის ცოლი მობრუნდა და გაშე-
შებული ზურაბი დაინახა. მსწრაფლად თავი მოი-
კატუნა და თითქო რამეზე ბოღიშ იხდისო, ისე-
თის კილოთი მიმართა:

—ღმერთო მომკალი!.. რა ფერი გაქვეს, გე-
ნაცვალე, ზურაბ!

მაგრამ ზურაბს თვალები უკვე უბრწყინდებო-
და, მისი ახალგაზდა, ბავშურათ შექმუნული შუბ-
ლი თანდათან გაიშალა და სახეზე ღიმილა დაქროლა:
მან დაინახა აივნისკენ მიმავალი ძველებური თიკო,
მისი დედაფლონი, მისი ღმერთი...

ესტატე-მღვდლის მეუღლემ შეატყო სამზი-
არული გუნება ზურაბს და თვითონაც სიცილით,
მხოლოდ რალაკ შემბარავის კილოთი უთხრა:

—რა გიფი რამ არის ეს ჩვენი თავადი სიმო-
ნიკა!..

ზურაბი ეხლა მოვიდა გონს. ეხლა შემაჩნია,
რომ მისთან „ფოფოლია“ იყო. არ იამა ამ ტანზე
ჩასქელებულისა და პირზე წაწვეტებულ დედაკაცის
ესეთი ვესლ-წაყრილი მოფერება. ერთი უაზროთ
გაუღიმა და ზრდილობიანათ ჩამოშორდა.

ესტატე მღვდელი კი უკვე სუფრაზე იწვევდა
სტუმარებს.

ყურთმაჯებიანმა თავადმა ელისაბედი წაიყვანა.
ეს ქარმაგი მოხუცი გერ კიდევ კობტაობდა. ელი-
საბედის ყურთან დახრილი ეფიცებოდა, რომ დღეს
ერთი კიდევ უნდა გავისენო ახალგაზღობო. სათ-
ნო სახის ელისაბედი მარილიანად უცნოდა თავადს,
მხოლოდ იმ გამომეტყველებით, როგორც მოყვა-
რული დედა თავის ცულქ შვილს ზოგიერთ ცულ-
ქობას აპატიებს ხოლმე.

ფონ-ტაუბეს შუა-ხნის მოხდენილი ქვრივი ქა-
ლი ერგო.

გამოიძიებელ გრომნიციკის ესტატე მღვდლის
ცოლი აეტორდილა. ახალგაზდა გამომძიებელმა ერ-

თი უსიამოვნოთ გახედა, მაგრამ, როდესაც კარგათ ჩათვლიერა „ფოფოდიას“ მკვირი ტანი, „ничего, опетитная грузинка-ო გაიფიქრა...
Впрочем, страшно на жидовку похожа...“
 (არა უშვებს-რა, მაღიანი ქართველი ქალია... თუმცა ურიის ქალს საშინლად ვაგსო).

გამწკრივდნენ სტუმრები.

ხელი-ხელ ვაყრილნი საზეიმოთ მიმავლას გვანდნენ. ახალგაზრდობა ჯერ კიდევ არეულათ იყო გაშლილი სუფრის გარშემო და ეზოში.

თავიდი სიმონიკა მივარდა თიქოს:

— თიქო ელისბარონა, მე თქვენთან!..

თიქომ გაღიმებული თვალებით შეხედა, მაგრამ არ უთხრა-რა.

— **Или вы уже ангажированы?** (ან შეიძლება იყე მიწვეული ხართ?)

— არა, არა, **НЕТЬ?** — აჩქარებით დაუკრა რუსული ბეჭედი თიქომ თითქოს შეშინდა სიმონიკა არ ჩამოშორდესო.

სიმონიკას აჩ გამოპარვია ეს აჩქარება და ვინ იცის რა სურვილებმა არ იფეთქა ახალგაზრდა თავადის თავში.

დაჯდომას იგვიანებდა ახალგაზრდობა. ზოგს ამასთან უნდოდა, ზოგს იმასთან. მხოლოდ ზოგს ვერ გაეებინა, ზოგიერთისაც ვინც არ უნდოდა იმას ეთხოვნა და ზრდილობით მას წაჰყოლოდა.

მხოლოდ ზურაბი იდგა მარტოკა.

ეს შეამჩნია ესტატე-მღვდლის ცოლმა, ბოდიში მოიხადა მის კავალერთან და მსწრაფლად ზურაბისკენ გაექანა.

— ზურაბ, როგორ მარტო დგებართ!.. გასწითდა წაიყვანეთ თიქო.

— არა, ბატონო, ჩემთვის ნუ სწუხდებით...

— როგორ თუ ვწუხდები. უსათუოდ თიქოსთან უნდა იჯდეოთ დღეს!.. როგორ შეიძლება... ის კი არა ჩვენ ვვინდა დღეს გამოვიცხადოთ თქვენი...

მაგრამ ზურაბმა აღარ დათავებინა. ის მიხვდა რაც უნდა ეთქვა დიასახლისს, საჩქაროთ ხელი სტაცა და შეაჩერა.

— არ, ლეთის გულისათვის... ეგ არ ჩაიღნიოთ... როგორ იქნება...

— ჰა, ჰა,!.. გაიცინა „ფოფოდიამ“.

— კარგი, არ ვიტყვი, მხოლოდ თიქოსთან კი ზაინც უნდა დაჯდეოთ... დამაცა, ერთი თიქოს უთხრა...

ზურაბს უნდოდა შეეკავებინა, მაგრამ „ფოფოდიას“ სწრაფათ ჩამოშორდა და თიქოსთან ვაჩნდა.

— თიქო. არა გრცხვენინან, ზურაბი მარტო დგოცხვენია... სწუხს საწყალი კაცი... და ერთად დასხვდით.

თიქომ ველარ მოითმინა.

— თქვენ რა გესაქმებთ, ძალო, ვისთან დაჯვდებით!..

„ფოფოდიამ“ იფეთქა

— როგორ თუ რა შესაქმება! შენი ურიგო საქციელი მასაქმებს.. მთელი დღეა შენი საქმრო მიგტოვებია და ამ გიყ თავადს ატორლიალებინარ.

— ვინ საქმრო?... რეებს ლაპარაკობთ!

— მე შენთვის მითქვამს კუთიანათ იყავ, თორემ ფებს წაამტრეც... თიქო მთლად ანთოა, მაგრამ თავი შეიკავა, უცბათ ზურგი შეუქცია „ფოფოდიას“ და ზურაბისაკენ წავიდა.

„ფოფოდიამ“ ბუტბუტით და კაბის შრიალს წავიდა თავის კავალრისკენ.

— ზურაბ, თქვენ ძალიან ვეწყინებთ, როდეს თქვენთან არ დაჯვდე? — შეეკითხა თიქო დარემილათ მდგარ ზურაბს.

ზურაბის შუბლს კიდევ მეტი შავი ღრუბელ გადაეფარა.

არა, ვინ მოვახსენათ!.. უპასუხა მან ხმა-შეწყვეით.

— ჩვენ ხომ შეგობრები ვართ!.. გამომეტყველებით ჩახედა თიქომ ზურაბს თვალეშში.

ზურაბი კვლავ მოინათლა. ეს თვალეშ მართლი იყვენ. ამ თვალეშს უთოდ უყვარდა ზურაბ თიქომ ხელი გაუწოდა ზურაბს. იმანაც ჩამორთვა. მგრძნობიარე ბევრის მეტყველი იყო ორვესთვის ეს ხელის ჩამორთმევა.

კოტა ხნის შემდეგ თიქო და თავიდი სიმონიკა სუფრის შუა-ოლავს მზიარულად ისხდნენ.

ზურაბი სუფრის ბოლოს ისონსა და ციფალქთან მოხვდა.

სხვიეც ჩამოჯდნენ.

მაგრამ აი მოვიდა ესტატე მღვდელი.

— მამოა ჩვენი, რომელი ხარ ცათა შინა... დაიწყო მან თავისი ლმობიერი ხმით.

ყველანი წამოიშალენ.

საზეიმო იყო ამ დღის სუფრა. ოთხმოცამქალი და კაცი საზაფხულოთ თეთრსა და ღია-ფერის ში მორთული, ფართოთ გამოლილი კაცლის ძირ მღვმარე იდგა და ძველ-კოლონების ნაშის, რელიეაქტს ასრულებდა.

რამეთუ შენი არს სუფევა, ძალა და დიდება. უფრო თამამათ ვაისმორა ვარინდულ არე-მარტო



ტე მღვდლის ხმა.

მხოლოდ, რა თქმა უნდა, აქ არ იყო პირველ უნეთა ქრისტიანების ექსტაზი, ზეკუიური აღუ-
ნება. აქ მხოლოდ ძალა-უნებური მორჩილე-
მდუმარობდნენ სტუმრები. ზოგს ირონიული
დაკრთიდა სახეზე, ზოგი თავის თავს ჩაღრმა-
და, ზოგი თვალს ავლებდა ამ უცხო კრებულს,
ეს ფართით გაშლილ, ბიბლიურ სახეს ესტატე
კლასასა შესწერებოდა.

„ღმერთო, აკურთხე სახლი, საქმელი...“ გაი-
უქანასკნელი წართქმა მღვდლისა და ცვლავ ყვე-
რ ახმაურდნენ.

სანდრო ფიქრობდა:

— ეხლა რომ ერთი, მძლავრი, მიმღები მანქა-
ომცა გრამოფონისა, სულ ჩაეწვრიდა ამ ხმათა
გერათა სხვადასხვაობას, რომ შემდეგში უფრო
ათ გამერჩია ხასიათი და მიმართულება, რიტმი
ნ აღამიანთა ხმის აღმოტყვევებისა. თორემ ეს-
კარგათ ვერ ვარჩევ; თვით მე მოქმედ პირათ
ვივარ ამ ყრიაშულში და კარგათ ვერ გამომი-
ილაკეს, გრამოფონზე გადაღებულ ყო ჩემთვის
რჩემოვლია, ვანყუნებელი და ამიტომაც მეტის
ეკტობით შემიძლია მისი შესწავლა, დაკვირვება...
ჰა! ამაში უნდა იყვეც კიდევ საზოგადოთ ხელო-
ის მიმზიდველობის საიდუმლოც; თვატრი, ქან-
ს, სურათი, წიგნი... შორით განცდა... აი აქ
ურტულევენ ქალები, ვაგები ბოხისხმაობენ,
ი ფართით იკინის, ზოგი წვიროლათ კისკისებს.

ნადვლიანათ ლულულეებს, ზოგი გაბმით მო-
ონურათ ზიდაეს ხმას. ყველა ეს და სხვაც ჩემ-
ეხლა შეუძნეველი, დაუქარველი ბგერა-კილოფ-
ერთათ შეთხუზულია და წარმოშობს რაღაც
აურს ერთელს შესკისას, რიტმისას... საყუ-
ლებოა ამის შესწავლა. ღიად, გრამოფონი თუ
აგრავი უნდა ახას; ან და ემოდ ზოლას დიდი
ის კალამი, რომ ეს დიდი სურათი ხალხთა შეყ-
კისა მხატვრული სინამდვილით გადმოგვეცეს..

ნადიმი უკვე დაიწყა.
თამადათ არჩეული, ყურთმაყებიანი თაფლი
ღირსეულათ შეუღდა თავის თანამდებობის
ლებას.

პირველი სადღევრძელო კობტა, ვერცხლის
ვეშით თიკოსი დაილია.

კოტე თვისებურათ მჭევრ-მეტყველი, მახვილი
იყო და ჰქადრულის სიტყვათა კონით აღღე-

გრძელო ფეხზე წამოდგარი, თვალბეა-ციმციმებულნი
ლოცა შეწითლებული თიკო;
„მწად ფეხი არ აკადრა,
სულ ღრუბლებში აღივილია...“

მედლუტევემა დაჰკრეს ტუში შემდეგ გაისმა
ტკბილი, ღინჯი და მღორე კახური მრავალ-
ეამიერ.

წამოდა ფონი ტაუბე.

Бриллиантовая барышня, краса алмазной
Грузии... (ბრლიანტო ქალიშვილო, მშვენივებ ალ-
მაზ საქართველოსი).

„რუჩისტი“ იყო მაზრის უფროსი და ხშირად
უყვარდა „პატიოსან თვალთა“ ხსენება.

სანდრომ ერთი მიძახა კიდევ:

— მოგვეყინდა მინერალოგია, ერთი ბატანიკი-
დანაც გვითხარით რამეო. მაგრამ საერთო ხრიალ-
ში მისი შენიშვნა აღარავის გაუგონია.

მხოლოდ გულით გაეცინა მის მარჯვენა მხარე-
ზე მედომ პაწია, ჩარგვალეზულ, ახალგაზდა მაკოს-
სანდრომ მისკენ მიიხედა და სიამოვნებით მხო-
ლოდ ეხლა შენიშნა, რომ კობტა მეზობელთან
მედარა.

— რა კაცინებთ? — შეეკითხა სანდრო.

— Какой вы душка, ей Бог!

(რაკარგი რამა ხართ. სულიყო! ღმერთმანი!)

— ჰა, ჰა! — გაეცინა სანდროსაც. მან ხარბათ
ჩახედა კარგა ფართოთ მოლიაცებულ მგზობლის პაწია
თეთრგულ-მკერდს რომელიც სწრაფად აღიოდა და
ჩამოლიოდა, აღიოდა და ჩამოლიოდა.

— რა გქვიანთ?

— მაკო.

— მაკო?

— მაკო. — შეეუყუნებდნენ სანდროს პაწია, მკურ-
რცხლი, ლურჯი თვალბები.

სანდროს გაახსენდა ყაზბეგის ექსპროტე:

„ორივ კარგი ქალი არის.

ნატოკა და მაკოცაო,

ტუნი ვედარ მოაშორა,

ენც რომ ერთხელ აკოცაო!“

„მაკოცა, მაკოცაო!“ დაფთქიალებდა ეს სი-
ტყვა მისი შეგნების გლიაში, არ ეშვებოდა, გაუფი-
ნიანდა. წამოცდა კიდევ ხმა-მადლა.

Что, что вы сказали? (რა, რა სთქვი?) — შე-
თრფინვით ეკითხებოდა მაკო.

— მაკო, (ეს მე ვეძახით), ცაო, (ეს მე ვეძახი).
 ერთად: მაკო! ცაო! მაკოცაო!
 — ჰა, ჰა, ჰა! Какой вы душка, ей Богу.

მკაცრი

(დასასრული იქნება)

ჩენი ხლოვნება.

ს. აბაშელი. „შის სიცილი“. ლექსები. გამოცემა „თემი“-სა. ფასი 50 კ.

ჩვენ გვიყვარს ოცნების ბაღში დაბადებული სიტყვა შანშიაშვილისა, გვიყვარს მისი ზღაპარი მამულის სველით მწუხარ-ნაღვლიანი.

ჩვენ გვიყვარს მშვენიერი კაბუცი რომლის სიტყვას ოცნება კონით მოჰფერება, გვიბღაღას მისი დარდი ყვაილების ფოთლებათ შილილი, გვიტაცებს მისი ქნარი, „ოღ-ოღის“ და ან მეორეს, მესამეს, და ვინ იცის რამდენის გიჟურ სიყვარულით ანატრი — ჩვენ გვიყვარს გრიპაშვილი.

როგორც მრისხანე გამოძახილი დემონის ხმისა მიუვალ მივებში, ისეთი არის სიტყვა ჩიკვაძისა, ძლიერი არის ქუჩიშვილის უარყოფის ჰანგი. მათ შორის არის კიდევ ერთი, რომელსაც ბევრი მათ არ გაუტოლებს. მაგრამ ჩემთვის პირადათ მისი ლექსი სისხლის წვეთებით დაწერილი, უსაყვარლესია. ეს არის გ. ტაბიძე — გრანობა დაფერულილი. და ამათ ჰყავთ კიდევ ერთი მეგობარი, შის სხივებით გაბრწყინებული რომლის სიტყვა ხან ცას მოსწყდება ხოლმე კრემლად, ხან გალიქცევა ჩანგურის ნაზ სიმათ, იქცევა ელვის გამონათებათ.

ეს არის — აბაშელი.

ჩენა ლექსთ-წყობამ თავის ზენიტს მიაღწია. არაოდეს ჩვენში ლექსი არ ყოფილა ისე დამუშავებული ფორმის მხრით, როგორც ესა.

აბაშელიც — საუკეთესო ხელოვანია ლექსისა.

აბაშელი საოცარის ძლიერებით ჩაწვდა ბუნების საიდუმლოებას, შეიქნა მისი სილამაზის საუკეთესო მგოსანი.

არც ერთ ჩვენს მგოსანს არა აქვს იმდენი სხვა და სხვა მთლიანი სურათი. ბუნებისა როგორც მას.

„შის სიცილიში“ მგოსანს მოუთავსებია ყველა ის თვალსაჩინო ლექსი, რომელიც მის ჯერჯერობით დაუწერია.

პირველ ლექსებში აბაშელს ეტყობა გავლენა რუსეთის პოეზიისა საერთოდ და განსაკუთრებით კ. ბალმონტისა. მაგალითად ფორმა „შავი აზრდილისა“, არის ფორმა ბალმონტის ლექსის „Ступени“-სა. ფორმა „ცეცხლისა“ ამავე ბალმონტის ლექსის „Фантазия“-ს ფორმაა.

ლექსი „განთავის მოლოდინში“ იწყება ასე: — ნისლის ნაკვითი ნარ-ნარ ნიაეს
ჩამქრალ ჩრდილად ჩაჰკვდომოდა...
ანდრეი ბელი ერთს ლექსს ამ გვარის ფორმით აწყობს.

**Кругомъ крутыя кручи
Краснѣтъ красный край“.**

მაგრამ ეს გავლენა სულ მალე გაჰქრა. რამდენიმე ლექსის შემდეგ მგოსანი სწერს მშვენიერ ლირიკულ პიესას; „სსსს... უუუუ...“ აქ მგოსანი პირველად პოულობს თავის აუცილებელ გზას.

მგოსანი დღით დღე აძლიერებს თავის შემოქმედებას: სწერს თავის ღიღებულ „ჩაქრა დილაში“ რომელიც მართლ მარგალიტად დარჩება ჩვენს პოეზიაში.

ამის შემდეგ იწყება მთელი რიგი მშვენიერ ლექსებისა. მგოსანი თან და თან უახლოვდება მზეს. „მზე“ და „შის სიცილი“ საბოლოოთ ამკვიდრებენ მის სახელს ჩვენს ლიტერატურაში.

ჩამოთვლილ ლექსების გარდა, აბაშელის საუკეთესო ლექსებთ უნდა ჩათვალოს. „დრო“, „ჩემი ტამარი“ „ჩემი სიტყვა“ „ჩემი სული“ „მიწერი“ „ორი ცა“...

მართალია აბაშელს აქვს თვალსაჩინო ნაკლებეანება: ბევრს ლექსებში ეტყობა ერთგვარობა. მაგრამ რა ექნათ. ამას ვერ ასცდა ვერც ერთი ჩვენი პოეტი. მიზნის ახისა კი ყველამ კარგათ ვიცით.

„თემი“-ს გამოცემა გულს ახალისებს. გიხარია კაც! როდესაც ული ასეთ მშვენიერათ, სუფთად და თანამედროვე სტილით გამოკცემულ წიგნს.

ს. აბაშელს ჩენი მეგობრული სალაში და სურვილი გამარჯვებისა, „თემი“-ს რედაქციას მადლობა მშვენიერ წიგნისათვის.

„გაფრგვინი“. ძვირათ გამოვა საქართველოში ისეთი შინაარსიანი წიგნი როგორც არის „გვირგვინი“.

წიგნში მოთავსებულია გრ. რაბაქიძის ესკიზი შოთა რუსთაველზე, მ. წერეთლის გამოკვლევა: სუმერული და ქართული, ზ. ქავთაძის მშვენიერი თარგმანი „ოვდიბოს“ მეფისა“ ა. შანშიაშვილის



ოქროს ვერძი „მეფე მგოსანი“ სამ. ფორცხაძეს დრამატიკული სურათი „ღამე“, და მისივე ეტიუდები.

წიგნი ავტორებს უძღვნიათ უფროთ დაკარგულ კუქია მიქელაძის ხსოვნისათვის. გამოცემა ღამაზი და სუფთა. ღირს 1 მანეთად.

რუსთაველის საღამო ქუთისში.

რუსთაველის საღამოს ბევრი ხალხი დაესრო. აზოგადობა აღტაცებით მიეგება ჩვენი დიდებული გონის აკაცის გამოსვლას, როდესაც მან მიმართა ექვსით ცოცხალ ძეგლს შოთასას. მზურავლე ტანის ცემით იქნა დაჯილდოებული ბელეტრისტი პ. კლდიაშვილი თავისი პატარა, მაგრამ გრძნობიარე იტყვის შემდეგ.

განსაკუთრებული აფროთვანებით შეხვდა საოგადობა გრ. რობაქიძის ლექციას შოთა რუსთაველზე. შეგიძლია თამაშთ ვსთქვათ რომ ასეთის ღტაცებით რობაქიძის თავისი ლექცია არაოდეს რ წაუკითხავს. დასასრულ გაიმართა ლექსთ კითხვა და ცოცხალი სურათები.

„ოქროს ვერძი“-ს ქრონიკა

„ოქროს ვერძი“-ს შემდეგ ნომერში სხვათ შორის აღბეჭდება ალფა ქაჩეღას და გურუტ ჰამიუნის მთხრობა.

— მასჰამ გარკავის ნება აქვს რუსეთში დაბრუნებისა...

— გაბრიელ და ანუტციაოას ზეისას „ზიხანელას“ რიზში ცოვად შეხვდენ. ზრუსს ცუვად ახსენაებს აგრეთვე მასნიობ ქაღას იფა რუბინშტიცის, რომლისთვისაც „ზიხანელა“ იყო დაწერილი.

— ერთ კვირაში გამოვა რუსულათ „ბაში აჩუკა“ ღვისა გ. და გ. ჯაფარაძეების თარგმანი.

— გ. და გ. ჯაფარაძეებს დაუნატავთ ზოტცის სიციის სურათა.

— საქართველოში ჩამოვიდა ჩვენი ახალგაზდა მკობი ბ. მანსაშვილი.

— გამოვიდა „გურნალ“ გათხლების“ იფისის (პ. მ. მ.) ნომერი.

გურნალში სხვათა შორის არის მითავსებული ნაწერები: ივ. გამართლას, ალხანაშვილისა, დ. კარბაშვილისა, გ. ხათაძის ფეა-ფეაგვლასი, შოთა მღვიმელისა, ზეტრე მირიანაშვილისა, და სხვ.

— კვირას 23 იფისის ქეთაისის თეატრში გაიმართა ქართული ნადიმი. (კაბარე). ნადიმში მეტად კარგათ ჩაიარა. განსაკუთრებით მოეწონა სპოვადობას გრ. რობაქიძის სიტყვა, დ. ფაღავასი და ნ. სუვარდუაძის ასულის სიმღერა.

— 23 იფისის დასა მამურში ადგილობრივ დრამატულ წრეს გაუმართავს პირველი ქართული წარმოდგენა. უთამაშიათ ირეთელის ზეისა „სოფლის გამოგება“ და მასში ხალხით კაჭედილი ყოფილა.

— 29 იფისის სოფ. მარტოვალში დაიწყო წარმოდგენების მართვა შ. სფართავის ხელმძღვანელობით.

— რაჭველების ერთი ჯგუფი სთხოვს გრ. რობაქიძეს რაჭვაში ჩასვლას ლექციის წასკითხავად. ლექტორმა აღუთქვა ჯგუფს რაჭვაში წასვლა.

— 10 იფლისიდან დაიწება ტურნე რობაქიძის და გრამაშვილისა. მით განზრახვა აქეთ შემოიარონ შემდეგი ადგილები: სურამი, ბორჯომი, ტყვერა, ცემი, ბაკურაანი, ახასთუმანი და სხვა.

— დღეს თფილისში, თავად აზნაურთა დეპუტატების სკანტებულში დანიშნულია საქართველოს სასიტორიო და სკოთნოგრაფიო სპოვადობების“ წვერთა კრება.

— „საქართველოს კულტურის მოყვარულმა წრემ“ საღამო გაუმართა თფილისში შეკრებულ ბუნების მუტუველთ და აქიმი. დამსწრენი დიდათ ნსაიმთხვანია დარჩენ საღამოთი.

— გახათავისუფლეს გურნალისტი არჩილ ჯანაშვილი.

— გრ. რობაქიძე იწვევს სჯარო კამათში ყველას ეინც იზიარებს მარის აზრს შესესებ „გეგუნის ტუათსინისა“. კამათს გამართავს ქეთაისის „სასიტორიო და სკეტნოგრაფიო“ სპოვადობა.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯანიანი.





გამართულია ხელისაწერა 1913 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „სახალხო გაზეთზე“ წელიწადი მეოთხე-
 1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა. გაზეთს 1913 წელსაც ექნება სურათებიანი დამატება.

პრემიუმ წლიური ხელის მომწერნი 1913 წელს განმავლობაში **მიიღებენ**

(ქ ვ ი რ ა ლ ბ ი თ)

მ რ წ ი ბ ნ ს :

1) უცხოეთის მწერლები.

2) ქართველი მწერლები.

ზომით არა ნაკლები 400 გვ. დაურიგდება იანვრის დასასრულს.



ზომით არა ნაკლები 500 გვ. დაურიგდება ეკენისთვეში.

გაზეთის ფასი: როგორც თფილისში ისე, მის გარეთ ღირს წელიწადში ისევე 8 მანეთად და 10 შ. ერთი თვით 15 შაურათ.

გაზეთის ფასი თფილისში და მის გარეთ წლ. 8 მ. 10 შ. 11 თ. 8 მან., 10 თ. 7 მ., 10 შ.: 9 თ. 6 მან. 5. შ., 8 თ. 6. მან., 7 თ. 5 შ., 5 თ. 3 მ. 5 შ., 4 თ. 3 მ. 3 თ. 2 მ. 5 შ., 2 თ. 1 მ. 10 შ. 1 თ. 15 შ. საზღვარგარეთ: წლ. 11 მ. 10 შ. 11 თ. 10 მ. 15 შ., 10 თ. 10 მ., 9 თ. 9 მ., 8 თ. 8 მ., 7 მ., 6 თ. 6 მ., 5 თ. 5., 3. 4 თ. 4 მ., 3 თ. 3 მ., 2 თ. 2. მ., 1 თ. 1 მ., ცალკე ნუმერი ყველგან შაურათ; დამატებიანი ნუმერი შვიდი კაპ. ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარეთ, ან ქალაქ გარეთისა ისევე ქალაქ გარეთისაზე 2 კაპ. დანართენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1-რიცხვიდან. მხოლოდ სრული თვეებით.

ხელისმწერა გამართულია. 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა, დილის 9 ს. საღ. 8 ს-დი უქმეებში დილის 11 ს-დან 3 ს. 2) ქ. შორის ერა კიოხ. გამაერტელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქ., თავად-აზნაურთა ქარვასლა. ფოშტით: Тифлиси, Груз. газ. „Сахалхо гавети“
 поч. ян. 190.

ი. გრიუაშვილი.
 ბროლის დიმილი.

ოუიღება ეველგან.



„ოქროს ვერძი“

ყოველკვირეული ჟურნალი „ოქროს ვერძი“ გამოდის 19 მაისიდან.

ჟურნალი ემსახურება ლიტერატურას, ხელოვნებას და კრიტიკას. თანამშრომლებათ მოწვეულნი არიან ყველა ჩვენი გამოგონილ თანამედროვე მწერლები.

წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებთ დამატებით კრებულები ჩვენი ახალგაზდა მგოსნების და ბელეტრისტების ნაწერებიდან შედგენილი.

მისამართი:

Кутаисъ, Казаковскій пер.
„ОКРОСЪ ВЕРДЗИ.“ ჟურნალის დასაკვეთი ფასი უნდა გამოიგზავნოს კანტორის სახელზე. ტელეგრამებისათვის: Кутаисъ „ВЕРДЗИ“

მიიღება ხელის მოწერა.	1 წ. 6 თ. 3 თ. 1 თ.	
	2 მ. 1 მ. 50 კ. 40 კ.	
	5 მ. 50 კ. 50 კ. 40 კ.	

საზღვარ გარეთ ერთი-ორათ.

განცხადებები შერიგებით. ცალკე აქ ყველგან 10 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი

ორშაბათის სახელბეჭედი და სალიტერატურო გაზეთი

„თეზი“

რედაქცია და კანტორა: Тифлисъ Редакція газ. „ТЕЗИ“.

გაზეთი სდგას პარტიათა გარეშე გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით. როგორც

1911 და 1912 წელს.

ის ხელისმომწერლები, რომელნიც ამ ხანად გადისხიან გაზეთის წლიურ ფასს მიიღებენ

ო რ კ რ ე მ ი ა თ

1. ს. აბაშელის ლექსთა კრებულს ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და ბ. ივანე გომართლის კრიტიკული წერილით.

2. კ. მაყაშვილის ლექსთა კრებულს ავტორის სურათით და ბიოგრაფიით.
ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაბ.; ხაზვეარ წლით—1 მ. 25 კ. ერთი თვით—25 კ.
რედაქტორ-გამომცემელი ბ. დიასამიძე.